ხელშეკრულება
საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ

ქ.თბილისი 10.03.2009 წ.

ს.ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალის სერვის ცენტრი N153ს სახით, შემდგომში "ბანკი", ერთის მხრივ, და ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა წარმოდგენილი დირექტორის ჩავლეიშვილი მაიას სახით, (მარეგისტრირებელი ორგანო: "ქ.ფოთის საოლქო საგადასახადო ინსპექცია", რეგისტრაციის თარიღი: 01.02.2007, ნომერი: 000648) შემდგომში "კლიენტი", მეორე მხრივ, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება:

1.2 საბანკო ანგარიში - ანგარიში, რომელსაც ბანკი უხსნის კლიენტს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად.
1.3 ამონაწერი - საანგარიშსწორებო პერიოდის განმავლობაში კლიენტის მიერ ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალი.
1.4 ვალუტის გაცვლის ოპერაცია - ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა სხვა ვალუტის სანაცვლოდ.
1.5 განაცხადი - წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოცემული ფორმით შევსებული განაცხადი ვალუტის ბირჟის კურსით გაცვლის შესახებ
1.6 ვაჭრობის თარიღი - ბირჟაზე ვაჭრობის დღეს 10:45 სთ-მდე კლინეტის მიერ ბანკში განაცხადის გაკეთების თარიღი, ხოლო სხვა შემთხვევაში განაცხადის თარიღის მომდევნო თარიღი, რომელზეც ჩატარდება ბირჟაზე ვაჭრობა.
1.7 ვალუტირების თარიღი - თარიღი, როდესაც ხორციელდება ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შედეგად ნაყიდი და გაყიდული თანხების ანგარიშსწორება მხარეებს შორის.
1.8 ბირჟა _ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.
1.9 საკომისიო _ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოპერაციების წარმოებისათვის ბანკის მიერ დადგენილი ფიქსირებული საზღაური. საზღაურის მნიშვნელობა მოცემულია ბანკის ტარიფების ნუსხაში.
1.10 კურსის შეზღუდვა _ შესყიდვის მაქსიმალური ან გაყიდვის მინიმალური

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკის მიერ კლიენტისათვის საბანკო მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 ბანკი იღებს ვალდებულებას:
2.1.1. გაუხსნას კლიენტს საბანკო ანგარიში დადგენილი წესისამებრ ბანკში საჭირო დოკუმენტების წარდგენის დღიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.
2.1.2 3 (სამი) დღის ვადაში აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს კლიენტისათვის აღნიშნული ანგარიშის გახსნის ან დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის მიღებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში კლიენტის ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები.
2.1.3 დროულად ჩარიცხოს ანგარიშზე შესული თანხები და გადაურიცხოს კუთვნილისამებრ არაუგვიანეს 2 საბანკო დღისა.
2.1.4 ჩამოწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშეც, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშებზე მათ ჩასარიცხად.
2.1.5 მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული.
2.1.6 კლიენტის დავალებით მისი ანგარიშიდან მოახდინოს ერთი ვალუტიდან მეორეში ფულადი სახსრების კონვერტაცია შემდეგი პირობებით:

ა) თუ კლიენტი, ანგარიშზე საკმარისი ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში, წარმოადგენს განაცხადს საოპერაციო დღის 10:45 საათამდე, კონვერტაცია განხორციელდება იმავე დღეს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (თბსბ) დაფიქსირებული კურსით იმავე ან მომდევნო საბანკო დღის ვალუტირებით (კლიენტის განაცხადში მითითებული ვალუტირების თარიღიდან გამომდინარე);

ბ) თუ კლიენტი წარმოადგენს განაცხადს საოპერაციო დღის 10:45-დან 17:30 საათამდე, კონვერტაცია განხორციელდება ბანკის კომერციული კურსით (საკომისიოს გარეშე) იმავე ან მომდევნო სამუშაო დღის ვალუტირებით (კლიენტის განაცხადში მითითებული ვალუტირების თარიღიდან გამომდინარე);

2.1.7 უზრუნველყოს კლიენტის მიერ ბანკისათვის მინდობილი ფულადი სახსრებისა და კომერციული საიდუმლოების დაცვა, კლიენტის მოთხოვნით სახსრების დროული დაბრუნება.

W3

2.1.8..კლიენტის მიერ ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესახებ წარმოების შესახებ განაცხადს ბანკი შეასრულებს იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში არ არის მითითებული კურსის შეზღუდვის შესახებ და/ან ბანკის მიერ დადგენილი კურსი აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს.
2.1.9.კლიენტის დავალებით განაცხადის საფუძველზე მისი ანგარიშიდან განახორციელოს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია.
2.1.10გაუწიოს კლიენტს დამატებითი მომსახურება ორმხრივი შეთანხმების ან დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.
2.1.11ბანკი იღებს ვალდებულებას გაუწიოს კლიენტს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საბროკერო მომსახურეობა.
2.1.12.კლენტის ანგარიშზე ვალუტის გაცვლითი ოპერაციის საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე კლიენტის მიერ ნაყიდი თანხა ვალუტირების თარიღზე.

3. ბანკს უფლება აქვს:

3.1.1 დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები საკრედიტო რესურსების სახით.
3.1.2 დახუროს ანგარიში კანონდადგენილი წესით.
3.1.3 გადაახდევინოს ჯარიმა მიმდინარე (ანგარიშსწორების) ან სხვა რომელიმე ანგარიშებზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის ამ თანხის 0,5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის თითოეული დღისათვის.
3.1.4არ შეასრულოს კლიენტის მოთხოვნა ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ:
-ბირჟაზე ვაჭრობა არ შედგა ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო;
-ბანკის განაცხადი ბირჟაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
-ბანკის მიერ ბირჟაზე ნაყიდი თანხა არ მიიღო, ან მიიღო ნაწილობრივ;
3.1.5 ამ ხელშეკრულების 3.2.5 მუხლში მითითებული მიზეზების გამო, არ განხორციელდა ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი ოპერაცია:
-ორი საბანკო დღის განმავლობაში ბანკი წერილობით შეატყობინებს კლიენტს განაცხადის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და კლიენტისაგან მიღებული თანხმობის შემთხვევაში შეასრულებს ვალუტის გაცვლით ოპერაციას ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

4 კლიენტი ვალდებულებას იღებს:

4.1.1 გადაუხადოს ბანკს ანგარიშის წარმოებისა და გაწეული მომსახურებისათვის #1 დანართით განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
4.1.2 ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშებზე სახსრების შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში ბანკიდან ამონაწერის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს შეცდომის შესახებ. შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენების შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0,5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე.

5 კლიენტს უფლება აქვს:

5.1.1 მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად მხოლოდ მისი წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.
5.1.2. ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობისას ფულადი გადარიცხვების 2.1.3 მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაახდევინოს ბანკს ჯარიმა დაგვიანებული თანხის არანაკლებ 0,5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული საბანკო დღისათვის.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა:

6.1.1 ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორისა და დროულობისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.1.2 ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული.
6.1.3 კლიენტი პასუხისმგებელია ანგარიშის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობისათვის.
6.1.4 ბანკი თავისუფლდება მატერიალური პასუხისმგებლობისგან, თუ მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის გამო (ელექტროკვების ან ქსელის დაზიანება/გათიშვა, საპროცესინგო ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საგადამხდელო სისტემის ტექნიკური ხარვეზი).
6.1.5ხელშეკრულების საკითხების ირგვლივ წარმოქმნილი დავის გადაჭრა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

6.1.6 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან ფორსმაჟორული გარემოების დადგომისას (სტიქიური მოვლენები, სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტი, საგანგებო სამხედრო მდგომარეობა).
6.1.7 იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული რომელიმე თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს საბანკო ოპერაცია განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

7 სხვადასხვა:

7.1.1 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
7.1.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია 2 პირად და ორივეს ერთნაირი ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი პირი ინახება ბანკში, ხოლო მეორე კლიენტთან.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

8.1.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის განმავლობაში.
8.1.2 მისი მოქმედების ვადა გაგრძელებულად ითვლება მომდევნო წელს, თუ არც ერთი მხარე არ განახცადებს მისი მოშლის შესახებ.
8.1.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ ნებისმიერ დროს.

9 მხარეთა ხელმოწერები

ბანკი
პასუხისმგებელი პირი

/ /

ბ.ა.

კლიენტი

/ /

ბ.ა.